ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1012681

ნომერი: AR1178983

თარიღი : 20.11.2013

გაცემის თარიღი : 25.11.2013

გაცნობის თარიღი : 26.11.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , VIII კილომეტრზე , (ნაკვ. 2/116) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლილუაშვილი პ/ნ 01026001866
- თბილისი ვაზისუბნის III მ/რ I კვ. კორ. 1 ბ. 71

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს ექსინტერი კოდი: 206335508

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთს არა აქვს მისასვლელი გზა, სამსახურისათვის გაუგებარია თუ როგორ მოხდება ტერიტორიაზე შესვლა, შესაბამისად საჭიროა პირველ რიგში, საპროექტო მიწის ნაკვეთისათვის მისასვლელი სამანქანო გზის მოსაწყობად, რომელიმე მომიჯნავე მიწის ნაკვეთი დაიტვირთოს სერვიტუტით და შემდგომ წარმოადგინოთ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა სერვიტუტის ჩვენებით, გაცემული საჯარო რეესტრის მიერ. ორივე დოკუმენტაცია შეგიძლიათ ატვირთოთ "ფაილის მიმაგრების" ველში.

გარდა ამისა:

1. იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა მოთხოვნის შინაარსის ტექსტში მიუთითეთ საპროექტო შენობის ფუნქცია. გაითვალისწინეთ: ვინაიდან საპროექტო ობიექტი მდებარეობს სამრეწველო ზონა-1-ში (ს-1), სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, შესაძლებელია სამრეწველო ზონა1 (ს–1)–ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობის/სამყოფის არსებობა (ასევე დამხმარე ნაგებობაც, გარდა საცხოვრებელი სახლისა);
2. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" – ფოტომონტაჟზე ასევე მისათითებელია ყველა ღიობის გაბარიტული ზომები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge